N 145753 გადაწყვეტილება აკრედიტაციის

მინიჭების შესახებ

12.02.2024 წ.

საბაკალავრო პროგრამა - ფსიქოლოგია

კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია ***(Psychology)***

უმაღლესი განათლების საფეხური: I საფეხური, ბაკალავრიატი

კვალიფიკაციის დონე: დონე 6

კვალიფიკაციის დასახელება: *ფსიქოლოგიის ბაკალავრი /Bachelor of Psychology*

დეტალური სფეროსა და სწავლის სფეროს კოდი: 0313.1.1

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[1]: 0313

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

პროგრამის ხელმძღვანელი: ნონა ახალაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: წინამდებარე პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე **ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია:** ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა, გერმანული ენა,), მათემატიკა/ისტორია/ბიოლოგია.
ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირებს (უცხო ქვეყნისმოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ან საქართველოს მოქალაქე) სასწავლებლის სტუდენტის სტატუსი მიენიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად („უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი - მუხლი 52, პუნქტი 3; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №224/ნ);
ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად: „სასწავლებელში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია ქართული ენის ცოდნის დადგენის მიზნით, სასწავლებელში გაიაროს გასაუბრება და/ან წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის დონის (მინიმუმ B2) დამადასტურებელი სერტიფიკატი[2], გაცემული სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოს [3] მიერ; გასაუბრების ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სასწავლებელი.

პროგრამის სტრუქტურა

[1]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCED – F – 2013)

[2] ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ტესტირების საფასურის ანაზღაურებას უზრუნველყოფს სასწავლებელი;

[3] საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც გაიცემა ენობრივი კომპეტენციის შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) გათვალისწინებით, ადგენს ქართული ენის ცოდნის დონეს და განკუთვნილია მათთვის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტი) თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტში მოიაზრება კომპონენტები:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები - 112 კრედიტი:
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები /მოდულები - 24 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი /სავალდებულო/ - 10 კრედიტი;
- საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი /სავალდებულო/ - 10 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები - 84 კრედიტი (მ.შ. 40 კრედიტი - სავალდებულო, 44 კრედიტი - არჩევითი).

შესაბამისად:

- სავალდებულო ნაწილი **172 კრედიტი (**ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები 112 კრედიტი, მ.შ. ფსიქოლოგიის ინგლისური ენა 10 კრედიტი; სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი 10 კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტითავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები **40** კრედიტი, მ.შ. უცხო ენა (ზოგადი) 20 კრედიტი.
- არჩევითი ნაწილი **68 კრედიტი** (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი (24 კრედიტი,) და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი (44 კრედიტი) სასწავლო კურსები/საგნები ან/და სასწავლო კურსები/საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან).

დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების/საგნების, ტრანსფერულ კომპეტენციებზე მიმართული თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისა და/ან სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსების კონცენტრაციით სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი ინდივიდუალური პროფილის ფორმირება.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (112 კრედიტი) ორიენტირებულია ფსიქოლოგიის სფეროში ფუძემდებლური პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობაზე; სისტემური ცოდნის დაუფლებაზე; წყაროებთან მუშაობის, მოპოვებული ემპირიული მასალის დამუშავების, კლასიციფიცირების, ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური ანალიზისა და განზოგადების უნარის გამოუშავებაზე; ფსიქოლოგიური მეცნიერების შესახებ საბაზისო განათლების მიღებაზე; ფსიქოლოგიის ისტორიული და თანამედროვე მიდგომების შესწავლაზე; ფსიქოლოგიური აზრის განვითარების უმთავრესი ტენდენციების, კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითადი კონცეპტუალური სისტემების, ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური და თეორიული პრობლემატიკის, ფსიქოლოგიის ძირითადი დარგების აღმოცენებისა და განვითარების ისტორიის, პიროვნების შესახებ არსებული თეორიული და ემპირიული გამოცდილების, სხვადასხვა თეორიული სკოლის მსგავსება-განსხვავებებისა და პარადიგმების სესწავლაზე; ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე მდგომარეობის, განწყობის ფსიქოლოგიისა და განწყობის ანთროპული თეორიის ძირითადი საკითხების გაცნობაზე; პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პასუხისმგებლობების ფორმირებაზე; ფსიქოლოგიური

პროფილის საგნების შესწავლამდე სტუდენტები გაივლიან ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების ფიზიოლოგიისა და ანატომიის სასწავლო კურსს, რაც აუცილებელია მომავალში/შემდგომში ფსიქოლოგიური საგნების ასათვისებლად. აგრეთვე შეისწავლიან ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების მექანიზმებს; ონტოგენეზის თავისებურებებს, ცვალებადობის კანონზომიერებებსა და ადამიანის საქმიანობის გავლენას ბუნებაზე; ძირითადი ფსიქიკური პროცესების, ქცევის მრავალფეროვანი ფორმის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს, მეხსიერებისა და დასწავლის, ფუნქციური მდგომარეობის მექანიზმებს, ანალიზატორული სისტემის ფიზიოლოგიას, ემოციების ნეიროფიზიოლოგიას. სტუდენტები მიიღებენ გამოყენებითი ღირებულების საფუძვლიან სისტემურ ცოდნას განვითარების ფსიქოლოგიაში, რაც ითვალისწინებს ბავშვის ფსიქიკური პროცესებისა და ფსიქოლოგიური მახასიათებლების ონტოგენეზის, მისი ასაკობრივი, ფსიქოფიზიოლოგიური და სოციალური განვითარების თავისებურებების, მეთოდოლოგიური პრინციპების, გარდატეხისა და მოზარდობის ასაკის ფსიქოლოგიური, ფსიქო-სექსუალური, ფსიქო-ემოციური და ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებების შესწავლას;

- **პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი)** ორიენტირებულია სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანასა და შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, ამ უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში რეალიზებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება;
- **საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი)** ორიენტირებულია საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის სისტემატიზებაზე - როგორც დარგობრივი ცოდნის, ისე პრაქტიკული, კვლევითი და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენაზე; ახალი ცოდნის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს როგორც პროგრამის სავალდებულო ნაწილის შესაწავლით მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარები, ისე უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით მიღწეული კომპეტენციები კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში. კომპონენტი ორიენტირებულია სტუდენტმა, ხელმძღვანელის დახმარებით შეასრულოს წერითი ნაშრომი, წარმოადგინოს და საჯაროდ დაიცვას ის; დააკავშიროს მიღებული თეორიული ცოდნა, მეთოდები, ანალიტიკური და კრიტიკული მიდგომები, განზოგადებები შესასრულებელ კონკრეტულ თემასთან და გაავრცელოს მის ფარგლებში; ხელმძღვანელთან ერთად, სტუდენტი, მერვე სემესტრის დასაწყისში ადგენს გეგმას, ამუშავებს სათანადო ლიტერატურას, ატარებს კვლევას, მიღებულ რაოდენობრივ მონაცემებს ამუშავებს SPSS-ის მეთოდებით და სემესტრის ბოლოს იცავს საბაკალავრო ნაშრომს.
- **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები** (24 კრედიტი) ორიენტირებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ფართო ცოდნის სტუდენტის ინტერესების შესაბამისი კონკრეტული მიმართულებით გაღრმავებაზე თავისუფალი არჩევანის საფუძველზე. კერძოდ, შეასწავლოს ის სასწავლო დისციპლინები, რომლებიც მისცემენ მათ დამატებით ცოდნას გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროში. სტუდენტები შეისწავლიან ფსიქოლოგიური მეცნიერების ისეთ უახლეს დარგს, როგორიცაა ინკლუზიური კლასების თავისებურებები და მასთან დაკავშირებული პრობლემების კრეატულად გადაჭრა, ინტერპერსონალური კომუნიკაციების ეფექტიანად აგება; ბავშვის პიროვნული ფორმირების პროცესში ფსიქიკური განვითარების დარღვევების პირველადი და მეორადი პრობლემების ადგილი და მნიშვნელობა, რათა განუვითარდეთ თემატიკის შესაბამისი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის უნარ-ჩვევები; გააცნობიერებენ და გაანალიზებენ (დამწყების დონეზე) მეცნიერულ შეხედულებებსა და კვლევის შედეგებს ადამიანთა ჯგუფების, მისი სახეების, ფორმების, სტრუქტურის, ჯგუფში მიმდინარე პროცესების შესახებ; გაეცნობიან ჯგუფთაშორის ურთიერთობებს, რომლებიც ცრურწმენების, სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის აღმოცენებას უკავშირდება; გააცნობიერებენ რეკლამის ეფექტიანი ზემოქმედების მექანიზმებსა და ეთიკურ

სტანდარტებს; რეკლამის დადებით და უარყოფით ზემოქმედებას; რეკლამას გაიაზრებენ, როგორც დიალოგის ერთ-ერთი ფორმის განვითარების პერსპექტივებას და ა.შ.; აგრეთვე გაეცნობიან გეშტალტთერაპიას, კოგნიტურ - ქცევით თერაპიას, ქცევის ბიოლოგიურ საფუძვლებს, ფსიქოანალიზის და სხვა საინტერესო საკითხებს.

- **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (20 კრედიტი)** ორიენტირებულია წერითი და ვერბალური კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე, ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სათანადოდ გამოყენების უნარის გამომუშავებაზე; აგრეთვე ფილოსოფიისა და სოციოლოგიის საფუძვლების შესწავლაზე;
- **უცხო ენის 30 კრედიტი** (20 კრედიტი - ზოგადი (თავისუფალი კომპონენტი), 10 კრედიტი - ინგლისური ენა ფსიქოლოგებისათვის (ძირითადი სწავლის სფერო) ორიენტირებულია უცხო ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაცო ენის სწავლების უზრუნველყოფაზე და აღნიშნულის მეშვეობით, მშობლიურ ენასთან ერთად, უცხო ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე ძირითადი სწავლის სფეროს დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით. უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში გამოყენებაზე, ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე. გარდა ამისა, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ინგლისურ ენაზე დაეუფლოს რამდენიმე სასწავლო კურსს;
- **თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 44 კრედიტი** ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, აზროვნების სტიმულირებაზე და დამატებით უცხო ენის /გერმანული ენა/, როგორც დამხმარე ენის სწავლების უზრუნველყოფაზე; სტუდენტის მიერ, მისი ინტერესების შესაბამისად, დამატებით ცოდნის როგორც წინამდებარე პროგრამაში განსაზღვრული თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ისე ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან ან/და ყოველგვარი ფორმალური გამაერთიანებელი სქემის გარეშე სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)ის ცალკეული სასწავლო კურსების მეშვეობით დაუფლებაზე, წინაპირობების დაცვით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტთა ინტელექტუალურ განვითარებას, ამასთანავე დაეხმარება მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში, გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს;

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების/საგნების, საბაკალავრო ნაშრომის არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სასწავლო კურსების/საგნებისა და კომპონენტების წინაპირობები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა.

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები/საგნები სხვა საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან ან ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან, შესაბამისი სასწავლო კურსის წინაპირობის დაცვით.

მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში (დანართი 1).

კვალიფიკაციის *„ფსიქოლოგიის ბაკალავრი“* - მინიჭება ხდება წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად.

შენიშვნა: *თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის, ანუ 8 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო ნაწილის/კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა 4 დამატებითი სემესტრის განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*

პროგრამის მიზანი:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენტური ფსიქოლოგიის ბაკალავრების /ფსიქოლოგების/ მომზადებას, რომელთაც საკუთარი წვლილი შეაქვთ გამოყენებითი ფსიქოლოგიის შემდგომ განვითარებაში და აქვთ ფართო ცოდნა მეცნიერული ფსიქოლოგიის ძირითადი სფეროების, კოგნიტური პროცესებისა და მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესახებ; *გააცნოს* პიროვნების განვითარებაზე ზემოქმედი ფაქტორები, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები; ემპირიული კვლევის მეთოდები, ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტები; უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების ინდივიდუალური თავისებურებები; ქცევის, ემოციებისა და სწავლის ფიზიოლოგიური მექანიზმები; *გამოუმუშავოს* კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის მომზადების, პიროვნების ქცევის გარეგანი და შინაგანი დეტერმინანტების ახსნისა და კლასიფიცირების, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში აღმოცენებული სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების პრაქტიკული შეფასებისა და ახსნის; ადამიანთა სოციალური ქცევის გამოკვლევისა და პროგნოზირების უნარი; *გამოუმუშავოს* საკუთარი საქმიანობის პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვით განხორციელების პასუხისმგებლობა.

სწავლის შედეგები:

პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლების შედეგების (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების) მიღწევას, კერძოდ:

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- განიხილავს ფსიქოლოგიურ სფეროსთან დაკავშირებულ თეორიებს, პრინციპებს, ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიასა და ძირითად მიმართულებებს;
- განმარტავს პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, გენეტიკურ და სოციალურ ფაქტორებს; ქცევის, ემოციებისა და სწავლის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს;
- ახდენს პიროვნების განვითარების ძირითადი მახასიათებლების, განვითარებაზე ზემოქმედი ფაქტორების, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიური კანონზომიერებების იდენტიფიცირებას;
- აღწერს პიროვნების ქცევის გარეგან და შინაგან დეტერმინანტებს, ქცევის საფუძვლებს, სტრუქტურას, ფორმებს, სახეებსა და კანონზომიერებებს;
- განასხვავებს და შეარჩევს პიროვნების ემპირიული კვლევის მეთოდებს, ფსიქოდიაგნოსტიკურ ტესტებს, მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებს და SPSS-ში მუშაობის ძირითად პრინციპებს;
- ამზადებს ფსიქოლოგიურ პრაქტიკულ-კვლევითი ხასიათის ნაშრომს/პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, დამწყების დონეზე;
- ახდენს სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებას, ამზადებს რეკომენდაციებს მათი გადაჭრის ან პრევენციის მიზნით დამწყების დონეზე;

- პრაქტიკაში იყენებს თეორიულ ცოდნას სოციალური ქცევის, განწყობების, ჯგუფების სტრუქტურირების, მათში მიმდინარე პროცესების მართვისა და დარეგულირების კვლევისა და პროგნოზირების მიზნით;
- ამზადებს/წარადგენს პრეზენტაციას სოციალურ-ფსიქოლოგიური და ინტერკულტურული პრობლემების შესახებ ქართულ და უცხოენოვან რესურსებზე დაყრდნობით, ახდენს მონაცემთა დამუშავებასა და ინტერპრეტაციას, ამყარებს კომუნიკაციას მიზნობრივ აუდიტორიასთან;
- პატივს სცემს და იცავს საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკურ ფასეულობებს, საზოგადოებაში განსხვავებულობას, პროფესიულ-ეთიკურ ნორმებს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში;

სწავლება-სწავლის მეთოდები:

სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების განხორციელებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალებად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლება-სწავლის და შეფასების სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციური სწავლება, შემთხვევის შესწავლა და სხვა. სწავლება - სწავლის მეთოდები მოიცავენ შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case study), წერითი და ვერბალური, წიგნზე მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტებითი და სხვ. მეთოდები); სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე. პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში, მათი განმარტებები კი განთავსებულია სასწავლებლის ვებ–გვერდზე www. newuni.edu.ge

სტუდენტის შეფასების სისტემა:

სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და მოცემულია ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანების შესაბამისად. სტუდენტის შეფასება ხდება ECTS სისტემით, 100 ქულის ფარგლებში.

ქულა	შეფასება	
91-100	A	ფრიადი
81-90	B	ძალიან კარგი
71-80	C	კარგი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი
51-60	E	საკმარისი
41-50	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა

		დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40	**F**	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი გამოცდის დანიშვნას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ზემოთ მითითებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/საჯარო დაცვის შეფასების დაჯამების საფუძველზე:

სასწავლო კურსი: მაქს. 100 ქულა		**პრაქტიკა: მაქს. 100 ქულა**	
შუალედური შეფასებები:	**60 ქულა:**	**შუალედური შეფასებები:**	**60 ქულა**
შუალედური გამოცდა	*30 ქულა*	*მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება (მიმდინარე შეფასებები)*	*50 ქულა*
მიმდინარე შეფასებები	*30 ქულა*	*პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის შეფასება*	*10 ქულა*
დასკვნითი გამოცდა	**40 ქულა**	**პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა**	**40 ქულა**

სასწავლო კურსებში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. თითოეულ მათგანს აქვს განსაზღვრული საკუთარი წილი შეფასების საერთო სისტემაში (შუალედური შეფასება მაქს. 60%, ხოლო დასკვნითი - 40 %) და მათი ჯამი უდრის 100 ქულას.დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებაში დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, თუ მან დასკვნით გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური შეფასების 50/%, ანუ მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულა; შუალედური და დასკვნითი გამოცდა შეფასების სავალდებულო კომპონენტებია. სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (min დადებითი შეფასება 51 ქულა). დასკვნით გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე დაშვების და სტუდენტის მიღწევების შეფასების წესები წესრიგდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და კონკრეტული სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სილაბუსით, სადაც აღწერილია შეფასების სისტემა, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან:

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება სასწავლებლის მისიას „ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დემოკრატიული

ღირებულებების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების, განათლების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათთვის ხარისხიანი ცოდნის მიწოდება; კვლევითი საქმიანობის განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, მათი პიროვნული და პროფესიული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სტუდენტთა წარმატების ხელშეწყობა მრავალფეროვანი აკადემიური, პროფესიული, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზებით.“

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მინიჭების შემდგომ ფსიქოლოგიის ბაკალავრს, სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნა, პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარ-ჩვევები საშუალებას აძლევს იმუშაოს კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში - განათლების სექტორში, ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში, საწარმოო ორგანიზაციებში ანუ ნებისმიერ დაწესებულებაში,,განახორციელოს პროფესიული საქმიანობა, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია აკადემიური ხარისხი - *ფსიქოლოგიის ბაკალავრი.*

- საქმიანობის ობიექტი - ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებები (საჯარო და კერძო სკოლები, ბაგა-ბაღები), ბავშვთა თავშესაფრები და ძნელადაღსაზრდელი მოზარდები, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემა, საბანკო სექტორი და ა.შ.
- საქმიანობის სახეები - ფსიქოლოგი, ფსიქოლოგის ასისტენტი, პედაგოგის დამხმარე, კლასის ტუტორი, პერსონალის შერჩევა და კვლევა, კლიენტთა მომსახურების, სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფ და გათავისუფლებულ პირთა რესოციალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში ჩართულობა და ა.შ.

სასწავლებელს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საჯარო და კერძო სექტორის სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე უზრუნველყოფილია სტუდენტთა პრაქტიკა. დამსაქმებელთა ნაწილი ვალდებულებას იღებს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილის დასაქმებაზე.
პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.